

საბავშვო
გაზეთი

მზაობა



1927





ზინაარსი

1. სურათი	1
2. პირველი მაისი—ლექსი—ე. პოლუმორდვინოვის.	2
3. მუდამ მხად ვარ—დ. თაბ—ლი.	3
4. პირველი მაისი (პიესა)—ხაქრო ხარშილადის	9
5. პირველი მაისი—ლექსი—ყახელი ბიკის	9
6. ყვერცხის ქურდები—დ. ძეძაძის.	17
7. შრომის სურათი—ლექსი—გ. რობიტაშვილის.	22
8. ჩვენ შევევლით მათ—მანის.	23
9. გახატულია, გახატულია—ნ. ნაკაშიძის.	26
10. მუსიკა—ყვავილები	27
11. როგორ უნდა მოეწყობოთ ბოსტანი—მანისა.	28
ბავშვა შემოქმედება: 1. სამკუდლოში—მ. მამულაიშვილის.	30
2. ნაკადული—ლექსი—ე. ეფრენაშვილის.	31
3. ჩვენი სიმღერა—ლექსი—რ. გაბიჩავაძის	31
4. დილა—ლექსი—ვ. დავლიანიძის	32
გამოკანა—ნინოსი. ყდაზე	
რებუსი—ნინისა.	

რეგუსი

(წარმოდგენილი ნიანის მიერ).

<p>წლის მე-12 ნაწილი ს</p>		<p>“ თ ლ ბ</p>	<p>“</p> 
<p>“ თ ვ ე</p>	 	<p>“ გატეხილის მო- წინააღმდეგე</p>	<p>“ ჩუმი დის დედა რაა ჩუმი?</p>
<p>“ ზურს რაზე სთესავენ? ს</p>	<p>“ ნაცვალსახელი ძრავ- ლობით რიცხუმი</p>	<p>მ ო</p>	<p>“</p> 
<p>“</p> 	<p>“</p> 	<p>“</p> 	

გამოცანა.

მე ვარ საკმელი. თუ ერთ ასოს შემცივლი, საშინელი მხეცი გავხდები.

კომუნალური
ბიუროსი



მე-XXIII წ. | № 4 | აპრილი | 1927 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარმმართველობის და
საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. შურნალი ბავშვებისათვის.

F 1929



პიონერები საუბრობენ პირველი მაისის მოწუობის
შესახებ.



პირველი მაისი.

შემ თავშალი ვაშლა
 ცის ანთებულ სივრცეში
 და ზირმცინარ სხივებით
 სისარული დაღვარა,
 სამაისო მოღსენით,
 გარემოს სიწითლეში,
 გული შუებით აღვსილი
 სცემს, ვით გრძობის ხაღარა...
 ცის ლაგვარდი დასწურა
 ფრთაშაღ ფრინველთ გუნდებმა,
 სისაღისით აავსო
 გულმწუუნვადლი თვალებით;
 ვეზვიდეების კონკები
 ჭეკვაჯის იაკუნდებად,
 და შთა-ველი ივსება
 ზურმუხტით და ლაღებით.


მოდის უღვე რიგებით
 ბაგმთა მშვენი წყებანი,
 სამაისო სისარულს
 დროშებით რომ ანთებენ;
 ასაღ ქვეენის სიგვარულს
 გულით მტკიცით, მგ სნებარით
 ატარებენ უველანი
 და მიღამოს აღსენენ...
 რა კარგია მაისი,
 განსაფხულის მთოველი!
 რა კარგია მაისი,
 დღე მშრომელთა კავშირის!
 ამ ჩაგრულთა განთიადს
 მუდამ ტრფობით მოველი
 და, ნეტავ, სულ უგრავდეს
 სამაისო საუკიდი!!

ელიზბარ პოლუჟმორადვინოვი.

მ უ ლ ა მ მ ზ ა ლ ვ ა რ .

მუდამ ცუელი და მოუსვენარია ჩვენი გოგი. მთელი დღე დარბის, დასტის, შინ არ ჩერდება. სად არ დაუძებს მას შეწუსებული დედა: შინ, გარეთ, ქუჩაში, შესობლებში.

— მოძულა ამ ბიჭმა, მოძულა! — ამბობს დედა და ხმაძღლბ იძხის: — გოგი, გოგი! სადა ხარ, ბიჭო?



ვინს კალათა მოსწუდა და გოგი ძირს დაეარდა.

— მიაუ, მიაუ... ნუ გეძინია, დედა; აქა ვარ, აქ... — მოინსა გოგის ხმა სახლის სახურავიდან.

— მანდ რა გინდა, შე ეშმაკის ფეხო, შენა! — ეკითხება შეძინებული დედა.

— ჩიტებს ვაფრთხოებ, დედიკო. თუკი ჩვენი ჰატარა ციცინიანი ეძინათ ჩიტებს, ჩემი რათ არ უნდა ეძინოდესთ! — ამბობს გოგი და აბრიალებს ღამას, ეშმაკ თვალებს.

— მანდ რამ აგიუვანა? — ეკითხება შიშისაგან აცხცახებული დედა.

გოგიმ ჰასუსი არ მისცა, კონტად გაიცინა, უცებ შეტრიანდა და მარდაჯ ჩამოიბრინა სახლსე მიდგული დიდი კიბე.

დედან შიშისაგან ცრემლები წამოუვიდა.

დაღამდა... გივიმ სანკმელი ჭნა და დანჯა. დაიძინა. მიღ-
ში „მიაუ-მიაუს“ იმხდა: სისძარში ჩიტუნებს ამინებდა.

— რა ჯნა, როდის დატკვიანდება ეს ბიჭი! — ამბობდა
მოსიუვარულე დედა.

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, გივი წამოსტა ლოკინი-
დან, დაიბანა ზირი, ისაუსმა და მძინვე ქუხაში გავარდა.

ზაფხულის ცხელი დილა იყო. გივიმ დაინახა: მოდის ქა-
ლი, მოაქვს წყლით სავსე ჩაფი.

— რა კარგია ახლა ცივი წყლით გავკრიფება! — გაი-
ფიქრა გივიმ და ხუშხუ მიცუნცულდა ქალთან.

— დედა! მწუვრია, დამალევიჩე წყალი.

— მიირთვი, ზატარავ, მიირთვი! — უთხრა ქალმა და ჩა-
ფი ძირს ჩამოვსო.

გივის არ წუვროდა, მას მხოლოდ ცხელოდა და გავკრი-
ფება უნდოდა. ის მოებლაუჭა ჩაფს, ახწია, დაიწყო სმა;
შეძვეკ, ვითომ კვლარ მოვრია, გადმოსწია, გადაისხა ტანსე
წყალი და ჩაფი ძირს დაავდო. წყალიც დააქცია, ჩაფიც გა-
ტებს და მთლად ამოწუწულმა მოტკურცხლა შინისკენ. ქალს
შეეცოდა გადააქნია თავი და გაუდგა ვსას.

რა იცოდა მან გივის ოინები, მისი ჯამბზობა!

სოველი ტანისამოსი გივის ძალიან ქინამოუნა.. შინ
მიირბინა, დედან შორიდან მოახეხა თავი და ისევე გამოსწია
ქუხისაკენ. სედავს, ზატარა ბიჭი ვირს მოვრეკება და, რაც ძალი
და ღონე აქვს, იმხნის: „ვამლი, ვამლი!“

— მომეცი ერთი ვამლი! — უთხრა გივიმ.

— ფული გაქვს? — ჰკითხა შევამლეკი.

— ფულს დედანეძი მოკცემს, — უზასუხა გივიმ და გაქვანა
ვირისაკენ. ვირსე ორი კალათი ეკიდა. ერთი სავსე იყო ვამ-
ლით, მეორე ნახევრად. გივის ბეჭრი არ უფიქრია, მოტკიდა

ვირს სელი კისერში, ასტა და ნაკლულა კალათში ტყაზანი მოადინა.

ზატარა ძევაძლეს გული მოუვიდა, მივარდა გივის და გად-
მოთრევა მოუხდომა. გივიმ ისე მკვრივ ჰკრა სელი ზატარა
ბიჭს, რომ საბრძლო ძევაძლე ვირაშადა გადატრიალდა. თი-
თონ აივსო ჯიბეები ვაშლით და გადმოსტომა დააზირო, მაგ-
რამ ვეღარ მოასწრო:

ვირს კალათა მოსწ-
უდა და სეფნი გივი
ვაშლებთან ერთად
ძირს დავარდა. უცებ
წამოსტა სესე, სტა-
ცა რამდენიმე ვაშლს
სელი და გაქრა.

ბრასმორეულმა
ძევაძლემ მოინდომა
უკან დადევნება, მაგ-
რამ იფიქრა: სულ-



ცხენზე ვეღარ დამაგრდა და ძირს გადმოვარდა.

ერთია, იმ ეშმაკს ვერ დაუწევი და აქ კი ვაშლს ვინმე ამი-
ბოჭავსო. გაჩერდა, კალათი ააყენა, დაფანტული ვაშლები ჩა-
აწეო და ვირს გადაჰკიდა. შემდეგ მოჰკიდა ჯოხს სელი და
ვირს დაუშინა, უნდოდა გულის ჯავრი ამოეყარა. რამი იყო
დამნაშავე საწყალი ვირი? ჩაღუნა თავი დიდურობა ზირუტეებს,
ერთი შეიშმუშნა და სელი ნაბიჯით გზას გაუდგა.

გივი ამ დროს უკვე შინ იყო, მიძლეულიყო ზატარა ოთა-
ნის კუთხეში და მხიარულად მიირთმევდა ვაშლებს.

ვინ ჩამოსთვლის გივის ეშმაკობას, მის სიცვლექეს!

ნაცნობები და შესობლები იძახდენ: ასეთი ცელქი ბავში
არ გვინახავსო. დედა კი სულ იმას ნატრობდა, როდის გა-
იხრდება, როდის დატყვიანდებაო.

ერთ დღეს გივი მენახშირეს შესვდა. ნახშირი გაუვიდა, ცხენსუ გადაძვადან და მხიარული მინ ბრუნდება.

- მია, დასვი ცხენსუ, — დაედრიჯა გივი.
- ძალიან გიუვარს ცხენი?
- ძალიან, ძალიან, — უნახსენებს გივი.
- რომ გადმოგავლას? შენ ხომ ზატარა ხარ!



მარჩა ჩვენი გივი ჰერხე
ჩამოკიდებული.

— დარდი ნუ გაქვს, ოღონდ და-
სვი და მე ვიცი, — იმედიანად უო-
სნა გივიმ.

მენახშირე გულგუთილი კაცი იყო. მირს ჩამოხტა, მოჭკიდა გივის სველი და ცხენსუ შესვა. გივი ნახშირის ტომრებსე დაჯდა.

— ანუ, ანუ! — შესძახა მან და ზატარა ბუძტი მაგონდ ჩასცხო დაღ-
ლიდ ცხენს. ცხენმა უურადღებმა არ
შიაქცია, მაგრამ გივი კი არ ეძვე-
ბოდა. ბოლოს გამოსთხოვა მენახ-
შირეს მთრახვი და ისე გადაჭკრბ
ცხენს თავსა და თუაღებში, რომ სა-
ბრძლოა ცხენი ტევილისა და სი-
ბრძლისაგან უაღესე დადგა. გივი
ცხენსუ ვეღარ დამაგრდა და მირს
გადმოვარდა ტომრებთან ერთად. არა-

ფერი უტყვინა, მაგრამ ისე გააშავა ნახშირის მტკვრმა, რომ მსელი საცნობი იყო. მოსუსნული, გამურული გივი სიცილ-
ხარხართ მივიდა დედასთან. დედას ჯერ გული მოუვიდა, მე-
რე სიცილი დაიწყო და თავის ზატარა, მოუსვენარ ბიჭს ზი-
რი დაბანა და ტანისმოსი გამოუცვალა.

საღამოს დედა კარეთ გავიდა. გივი ოთახში დადის და ფიქ-
რობს, რა მოიგონოს კიდევ, რით გაიართოს თავი. უცებ ჰერ-
ში შეაქმნია მიმაგრებული, მოკაკუჭებული რკინა.

— ეს ღამეის ჩამოსაკიდებელია, სთქვა გივიმ, — ვნახოთ, მეც დამიჭერს თუ არა.

ოთახში დიდი მაგიდა იდგა. მიანთა ის შუა ადგილას, სუდ ზატარა მაგიდა დადგა და მაგიდასე კი სკამი. ასტა დიდი მაგიდიდან ზატარასე, ზატარა მაგიდიდან სკამსე და სელი ჩა-
 ჰკიდა მოკაგუჭებულ რეინას.

ამ დროს უცაბედად სკამს ფეხი ჰკრა. გადმოვარდა სკამი, მასთან ზატარა მა-
 გიდაც, დარჩა ხვევ გივი ჭერ-
 სე ჩამოკიდებული. შეშინ-
 და, ბეჭრი ველარ მოითმინა
 და მართო დრიალი. დე-
 დამ გაიგონა გივის უფრო-
 ლი, შეეარდა ოთახში და
 გივი რომ ჭერსე ჩამოკი-
 დებული დანახსა, მართო
 კივილი და გული შეუწუსდა.



დასცა ძირსა...

შეზობლებმა გაიგონეს ქალის კივილი, მოირბინეს, გივი ჩა-
 მოსვეს, დედამისს კი ანუგეშებდნენ:

— ნუ გეშინია, ქალო, მალე გაიზრდება, დაჰკვიანდებაო.

დადგა ზამთარი. გივის დედამ თბილი ტანისამოსი შეუ-
 კვრა. უხარია ზატარა ბიჭს ახალი სალათი და მარვალი. ჩაი-
 ცვბა, გამოეწეო და თაუბომწონედ ქუჩაში გავიდა. ცოტა გაიბ-
 რა. სედავს, მოდის იმსახუით ზატარა, ამავე ბიჭი.

— შენ ვინა ხარ? — შესძახა გივიმ.

— სორხი ზიონერი, — უპასუხა ზატარამ.

— მოდი დამეჭიდე, — უთხრა გივიმ და ზასუსი აღარ და-
 ცალა, წაიწია ზიონერისაკენ.

— მუდამ მხად ვარ, — ამაყად სიქვა ზატარა ზიონერმა, მოტრიანლება აღარ დაბცალა გივის, დასცა ბირს და უთხრა: „ქმის მენ!“

დამარცხებული, შერცხვენილი გივი მოვიდა და დედას მოუქვა თავის ამბავს:

— ზიონერმა მავლობა, ხემსავით ზატარა ბიჭმა მავობა. დედიკო, მენი ჭირიშე, მეც ზიონერი უნდა გაუხდე, მეც მუდამ მხად უნდა ვიყო. თუ ზიონერად შემიქვან, აღარ ვიქმნაკებ.

— კარგი, შვილო, კარგი, დედა კენაცვადლოს, მენც ზიონერი იქნები ძალე! — სისარულით და ალერსით კუხასუხა დედა.

გახარებულმა გივიმ დაიწყო მხადება: მიდი-მოდის ოთახში, თავი ძაღლა უჭირავს, ფეხებს აბაკუნებს და იძხინს:

— მუდამ მხად ვარ, მუდამ მხად ვარ,
შემომხედეთ, რა კარგი ვარ!!

დ. თაბ—ლი.





პირველი მაისი.

საბავშვო პიესა ერთ სურათად.

მოქმედი პირნი:

- | | |
|------------------|--------------------------------|
| მუშა,
გლეხი. | 7. რვა საათის სამუ-
შაო დრო |
| 1. ფერია—ია. | 8. დასვენება |
| 2. ფერია—ვარდი | 9. ძილი. |
| 3. ფერია—შროშანი | 10. მერცხალი. |
| 4. ფერია—მიხაკი | 11. ბულბული. |
| 5. ფერია—ყაყაჩო | 12. ნაკადული. |
| 6. ფერია—ზამბახი | |

ლამაზი მთა, გორაკებიანი, ათასგვარი მცენარით და ყვავი-
ლით შემკული. მოიშის ფრინველთა ერიამული, ნაკადულის ჩუჩუბი,
ბულბულის სტეენა და სხვა.

სცენაზე გამოდიან ორივე მხრიდან ფერიები: ჯერ ციკვავენ,
შემდეგ ლამაზი ფიგურებით მშვენიერად ეწყობიან.

სურათი I.

ფერიების წყებანი:

- 1—სანეტარო დრო დაგვიდგა.
- 2—გაზაფხულდა.
- 1—ათასგვარი ფრინველთ გუნდი
- 2—ამაყრულდა.
- 1—დღეს პირველი მაისია
- 2—მხიარული,
- 1—დღეს ზეიმობს და ხალისობს
- 2—მუშის გული.
- 1—და მის ზეიმს უერთდება

2—ყველაფერი:

1—ფრინველთ გუნდი, ყვავილები

2—ათასფერი.

1—ულოცავენ დღესასწაულს

2—ერთად ყველა,

1—და მშვენებით აგვირგვინებს

2—ცისარტყელა.

(ყველანი ერთად მღერიან).

—ვიშ, რა მშვენებას, სილამაზეს

ფენს გაზაფხული,

ათასი ფერის სამკაულით

არის შემკული!

მზე მდინარეში აბანავებს

მოვერცხლილ თვალებს,

და მწვანე ტყეებს ფრინველები

ამუსიკალებს!

მინდორ-ველს ჰქარგავს ყვავილები

სხვადასხვა ფერი:

თეთრი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე

და აღისფერი.

ყველა ეს არის სამკაული

პირველ მაისის.

მუშის სიბნელის უკუმქცევლის

ნათელ აისის.

(შემჩვენენ მომავალ მუშას)

1 ფერია—შეხედეთ ყველამ, მუშა მოდის!

2—რა მხიარული!

3—დღეს აღტაცება მასში ღვივის

მეფობის სრული.

4—მას სხვა მოჰყვება,

5—ის გლეხია,

6—მუშაკი სოფლის,

2—მრავალტანჯული და დამღვრელი

სისხლის და ოფლის.

3—ესენი ერთად დღეს მიდიან

იქ საზეიმოდ.

5—ჩვენ ნუ გავუშვებთ, იცით, დებო,

აქ ვაზეიმოთ.

ყველანი—ასე მოვიქცეთ! ცეკვით დავხვდეთ

1- ერთად ჩავებათ.

ყველანი— და რომ მოვიდენ, შემოვერტყათ
 მკიდრო რკალებად.

(გზმებიან ერთიერთმანეთზე ბელუბით და როდესაც მენა და
 გლუბი შემოვლენ, გარს შემოვრტყმებიან და ცეკვით უვლიან).

მუშა (გაკვირვებულთ) —ამათ რას ვხედავ!...

გლეხი—საკვირველი არაფერია:

ყველა ეს, ვიცი, გაზაფხულის
 არის ფერია

ხედავ?! აქ თითქმის ყვავილების

ყველა ფერია:

ყვითელი, მწვანე, ლურჯი, თეთრი,

ალისფერია!

ფერიები—დიახ, ჩვენ მართლაც გაზაფხულის
 ვართ ყვავილები.

კობტა, ლამაზნი, დედამიწის

ნაზი შეილები.

1 ფერია—მე ყველა მიცნობს, თუ ვინა ვარ,
 რა ყვავილია:

ყველაზე პირველ გაზაფხულზე
 ამოვალ ია.

ჩემით მინდორი არის ტურფა

და ლამაზია,

სასურველ სუნის ვარ მფრქვეველი,

ნაზი, გულღია.

2 ფერია—მე ხომ ვარდი ვარ, მორცხვი, ნაზი,

გულჩახვეული,

ვისაც ბუღბუღი მიგალობებს

მარტოდ, ეული.

ვარ ყველასათვის სასურველი,

კარგი სურნელი,

როცა საყვარლად გულს მიფურჩქნის

ნიაფი ნელი.

დანარჩენები: ჩვენც კიდევ ყველა—ყვავილები

სხვადასხვა ფერის,

სასიამოვნო, სასურველნი

სუყველა ერის!

თქვენ აქ გაგართობთ, გასიამებთ,

ვიცეკვებთ ყველა,

მოგრთავთ, მოგკაზმავთ ყვავილებით
 ერთად სუყველა!
 შემდეგ ბუღბუღიკ გიგალობებსთ,
 დაგიტკობსთ სმენას,
 ახმატკბილდება აქ მერცხალი,
 იწყებს მოღხენას.
 თქვენ სადიდებლად გიგალობებსთ
 ფრინველთა ნადი,
 და ტკბილ სიმღერას იდუდუნებს
 ცელქი ნაკადი.

(ყველა ფერია მოიხსნის ყვავილებს და რთავენ გღებსა და
 მღებს ამ დროს მოიხსნის ნაკადულის სიმღერას).

ნაკადულის ხმა:

—მე გაგიტაცებთ ოცნების ზღვაში,
 იქ გაბანავებთ, გაგიქრობთ წყლულსა.
 ამოიკითხეთ ამ ჩემ ტკბილ ხმაში,
 რომ ვერვინ გაგხდისთ აწ დაჩაგრულსა.
 ე მაგ გულღია შრომის გულ-მკერდზე
 ოქროს წინწყლებად დაგაფრქვევთ შეფეფებს,
 და ვაოცნებებ აწ მაგ თქვენ ბედზე
 იმათ, ვინც აწი ველარ იმეფებს.
 დაგატკობთ ლექსით, ტკბილ ნანას გეტყვით,
 ავმუსიკდები ათას ტკბილ ხმაზე,
 მაშინ საყვედურს ბედს ველარ ეტყვით
 და ლალად ივლით ცხოვრების გზაზე.
 სარკედ მიხმარეთ ანკარა წყარო,
 შიგ დაინახეთ შრომის მხნე სახე,
 ვისაც უბყრია აწი სამყარო,
 მას ვერ დაგლიჯავს ვერცერთი მახე.

(მღმა და გღები ნაკადულის ხმას სიამით უსმენენ).

ფერიები — უკვე ნაკადმა დაათავა
 თვისი არია...

† — დიდი ზემი, ბუნების შვილთ,
 ჩვენც გვიხარია.

‡ — სხვა ფრინველებმაც უნდა გითხრასთ
 თვისი გალობა,

§ — რადგან მაისმა თქვენთვის იგი
 მათ უწყალობა.

2 — ალბათ, იგრძნობდა და მაისი
 მას მიხედვებოდა,
 რომ ეს დღეობა წინათ მუშას
 უნდა რგებოდა.

3 — მისთვის მოკაზმა, მორთო ასე
 ათას ფერებით,
 და აჯადოვებს ის მუსიკით,
 მის ამღერებით.

1 — ყური დავუგდოთ ბულბულს, მერცხალს,
 ტოროლას, შაშვსა,
 ვნახოთ, ისინი რას იტყვიან:
 კარგსა თუ ავსა.

ჟველა: — ვნახოთ, ვუსმინოთ, თან ვიცეკვოთ.
 უკეთესია,
 რადგან ბუნებას ჩვენით სიტკბო
 დაუთესია.

(ცავევენ მუშისა და გლეხის გარშემო).

მოისმის მერცხლის ხმა.

— ათასგვარ საშიშ ქარიშხალში
 გამოვიქროლე.

დაბრკოლებაში შეუდრეკლად,
 მედგრად ვიქროლე,
 რომ მოვსულიყავ და მოლხენა
 გამეასკეცნა.

შრომის გულ-მკერდი სიყვარულით
 გადამეკოცნა.

აჰა, მოვედი, გიგალობებთ
 კუდმაკრატელა,

მსურს შეუზღუდველ სიხარულით
 დაგატკბოთ ყველა.

მე მერცხალი ვარ, ნახ მაისის
 მახარობელი,

მის სიდიადის სხვა ქვეყნებში
 ვარ მე მთხრობელი.

(მოისმის ბულბულის სტვენა).

მუშა. — ვიშ, რა ხმა არის ასე ტკბილი
 რა სასურველი?!

ვინ უნდა იყოს ჯადოქარი,
 გულთამხილველი?!

გლეხი — ბუღბუღი არის, ყველასათვის
 ის საყვარელი.

ბუღბუღის სტენა:

— პატარა ნისკარტს ავამღერებ,
 ავაწკრივლებ,
 წარმტაც გალობას სასიამოდ
 დავაწკრივლებ
 ხან მიძინების ნანას გიმღერთ,
 ვაამებ თქვენ გულს,
 რომ მოისვენოთ, დაგეძინოსთ
 შრომით დაქანცულს.
 თვალდახუჭული ათასი ხმით
 ავხმატკბილდები
 შეუდარებელ მუსიკოსად
 მაშინ გავხდები,
 შემდეგ კი, ადრე, საყვირის ხმას
 დავასწრებ დილით,
 გამოგაფხიზლებთ სამუშევრად
 ჩემის ხმით ტკბილით.

(მუშა და გლეხი გატაცებული უსმენენ, გარედან
 მოისმის სიმღერა):

— მუშა — გლეხი მშრომელი
 ჩვენი მეგობარია,
 მათი დანიშნულება
 ყველა ჩვენ გვაბარია.
 ეს პირველი მაისი
 სიტურფით ლამაზია,
 მარად გაუწყვეტელი
 აქვს მშვენების ხაზია.
 — პირველი მაისია
 მუშის დღესასწაული,
 ამ დღეს მან შეიძინა
 ძვირფასი სამკაული,
 ამ დღეს მან მოიპოვა
 კანონები შრომისა,
 საღამო მიულოცა
 თვის მეგობარს ძმობისა...

(შემოდინა „რვა საათის სამუშაო დრო“, „დასვენება“ და
 „ძილი“. ვაგები იქნებიან შესაფერი ტანსაცმელით. მათ შემოსვლაზე
 ავღვლანი ერთად იმეორებენ შემდეგ კუბეტს).

ყველა — პირველი მაისია
 მუშის დღესასწაული.
 ამ დღეს მან შეიძინა
 ძვირფასი სამკაული.

მუშა — (მოსულებს)

ახლა გვითხარით, რა მოდგმის ხართ,
 ან რათ მოხვედით,
 ან კმაყოფილი რატომა ხართ
 ამ ჩემი ბედით?

1 მოსული — მე შრომის დრო ვარ, ურყვეველი
 და განსაზღვრული,
 ჩემ ხელში არის რვა საათი
 მუდმივად სრული.

2 მოსული — მე: დასვენება ფიზიკური,
 შრომა — გონებით,
 გართობა — კითხვით, ან წარსული
 დროს მოგონებით.

3 მოსული — მე ტკბილი ძილი რვა საათით
 მსურს დაგეუფლოთ,
 რომ შრომა თქვენი საადვილო
 შეიქნეს უფრო.

(ამ დროს სცენა დაბნელებია. სიბნელებაში ყველანი დაეწყობიან ლამაზად, მაღლობზე მუშა და გლეხი დადგებიან წითელი დროშით, რომელზედაც ორივეს უკიდია ცალ-ცალი ხელი, მეორე ხელით კი ნამგალის და კვერის ფიგურას აკეთებენ. სცენა დროგამოშვებით სხვადასხვა ფერით უნდა განათდეს, როდესაც განათდება, მღერიან).

მუშა, გლეხი და ახალმოსულნი:

დღეს ზეიმში ჩაბმული
 შრომელ ხალხის გულია,
 შესაფერად ყველაფრით
 მორთულ-მოკაზმულია.
 ჩვენ, მუშები, ყველანი
 ხელი-ხელ გადავებით
 და ცხოვრების ტალღებში
 ძმურ კავშირით ჩავებით.

ფერიები მღერიან:

ჩვენ ყველანი მუშების
 მოლხენას ვუერთდებით

და ამათ შესამკობლად
 თაიგულად ვერთდებით.
 ოპ, ეს დღე ძვირფასია,
 მათი დღესასწაული,
 რასაც მუდამ თან ახლავს
 მშვენიების სასწაული.
 პირველი მაისია
 მუშის დღესასწაული,
 ამ დღეს მან შეიძინა
 ძვირფასი სამკაული.

(ყველანი ერთად იმეორებენ უკანასკნელ კვლევტს. ფარდა
 ხელ-წელა ეშვება).

ზაქრო ხარშილაძე.



პირველ მაისს

დილა ნაზი, ღამაზი,
 ევაუილებით შეკეული,
 ამწვანებულ მდებლობაზე
 ნაძი დაჩკურებული,
 შხის სსიუები ნაზები,
 ნაკადული წსრილადა,
 გასაფსულის მკოსნები
 და ენძელა ცქირიალა,
 ვარდები და იუები,
 ჩიტები და სსიუები,

ევაუილები, დრომები,
 ქალაქი და სოფელი,
 ზეიმობენ, ღხინობენ
 პირველ მაისს დიაღსა,
 ადიდევენ ღუნინსა,
 მშრომელ ხალხის ბეღადსა!
 ვაძა, ვაძა მშრომელ ხალხს,
 გასაფსულის აისსა!
 ვაძა, ვაძა დიაღ დღეს,
 ვაძა პირველ მაისსა!

კახელი ბიკი.



კვერცხის ქურდები.

(სიმას ნაამბობი)

F/1929

მე და ჩემი და ტასიკო ესოში ვბურთაობდით. ჩემი კან-
როლილი ბურთი ტასიკომ ჯვარ დაიჭირა და ის ჭიშკრის
ქვეშიდან ქუჩაში გავტორდა. ჩვენც გავუვეით თან.

სწორედ ჩვენს ჭისკართან მეწვრილმანეს სოფლის დედაკა-
ცები შემოხუდენ.

— რომ იცოდეთ, რა სათამაშოები მაქვს თქვენთვის, ბავ-
შუბო! — სთქვა მეწვრილმანემ ჩვენს დანახვაზე და თან სათამაშოე-
ბით სავსე კალათა გადმოგვიდგა.

მე და ტასიკო ახლო მივედით და კალათას ჩავხედეთ. რა
კინდა სულა და კულა, რომ იქ არ იყო: სარატული ბზრია-
ლები და სოკოები, კუკის სამოვარი და ჭურჭელი, ხის წითელ-
ანძიელები, ავტომობილები და ათასი სხვა სათამაშო!

— მე ამ სამოვარს ვაუიღვინებ დედას! — სთქვა ტასიკომ.

— მე კი ეს ბზრიალა მომწონს! — ვუბახუსე მე. — წავიდეთ,
დედას ვუთხრათ, რომ გვიუიღოს!

გავიქეცით შინ. სამწუხაროდ, დედა ვერ ვინახეთ და დალა-
ნებული გამოკუდით გარეთ.

— მაგას რამ დაგადინათ? — გვითხრა მეწვრილმანემ: აი,
თქვენს არჩეულ სათამაშოებს ცალკე შევინახე. უნხართ დე-
დას, რომ სამოვრისათვის ათი კუერცხი დაამსადოს, ბზრიალას
კი რვადაც დავითმობთ!

ჩვენ ძალიან მოგვეწონა მეწვრილმანის სიტყვა. ვთხოვეთ, რომ მეორე დღეს უთუოდ მოსულიყო და ჩვენი არჩეული სათამაშოები მოეტანა.

საღამოზე, როცა დედა შინ დაბრუნდა, შევეხვეწეთ, რომ ჩვენთვის საძოვარი და ბზრივალა ვეიდა.

— კარგი, ბავშვებო, როცა მეწვრილმანე ჩამოვიღის, უთუოდ გიყიდით!— დაგვადიქდა დედა.

მეორე დღეს, სკოლიდან რომ მოვედით, დედა შინ არ დაგვიხვდა.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ მოგვესმა მეწვრილმანის ხმა.

— საწვრილმანო კვერცხებზე, საწვრილმანო!

— დედა ხომ დაგვანერდა, რომ უთუოდ გვიყიდის სათამაშოებს!— ვუთხარი მე ტასიკოს: მოდი მარნიდან კვერცხები გამოვიტანოთ და მეწვრილმანეს ჩვენი არჩეული სათამაშოები გამოვართვათ!

— კარგი!— სიტყვა ცოტა უოქმანის შემდეგ ტასიკომ.

კამოვიტანეთ მარნიდან კვერცხები და გამოვართვით მეწვრილმანეს სათამაშოები.

ჩემმა დამ თაუნის დედოფლები მაგიდაზე ჩამოამწვრივა და „საძოვარი“ დაუდგა, მე კი ჩემი ბზრივალათი ვერთობოდი.

ამ დროს შემოვიდა დედა ოთახში და, რა დაინახა ჩვენი სათამაშოები, გაჯაფრდა:

— არ გაბედოთ აწი და უჩემოდ არავის არაფერი მისცეთ. ერთ დღივას დედა მარნიდან ძლიერ აღელვებული შემოვიდა:

— ვაძობოდი, ხუთ კრუსს ერთად დავსვამ შეთქი და სამ კრუსსაც ძლივს ვეო. რა უპავეთ, ბავშვებო, იმდენი კვერცხი?

— დედა არ მომიკედეს, რომ არც მე და არც ტასოს სელიც აღარ გვიხვია!

— მამ რა იქნა? ჩემი ანგარიშით, ბარე ორმოც ცაღამდე ავლია!

— დედაკაცო, რომ შიდაგები სოღმე შაკ ბავუშებს, შარნის კარი სულ ღია არის, ესოში კი შთელი უბნის ბაღლობა იურის თავს სთამაშოდ; ალბათ ვინმე შეეწვია და ვახანანგა! — გამოკვესარწლა შამა.

— იცოდეთ, ბავუშებო, თუ კიდევ შეგიურით ჩვენს ესოში ბავუშები, შალიან გავჯავრდები! — გვიტსრა დედაშ.

შეარე დღეს, სდამოთი, დედაშ ორთავეს დაგვიძა-სა და გვიტსრა:

— ჩქარა სთქვით, რას უშურბით კვერცხებს? კასრი დანიშნული შქონდა და დღეს კიდევ ათ კვერცხაშდის შაკ-ღია!

— შმე რრა ვვიცი... შარანში დღეს ფეხიც არ შქიდეგაშს!



ორ წყებად აფუღენ კასრს.

— შართალია, დედი! — დამემოწმა ტასიკო: შე და სიბა სულ ერთად ვთამაშობდით!

— ალბათ, შენც წილი კიდევს, შე კუდრაჭავ! იბიტომ ემ-სრობი, განა?! — უთსრა ტასიკოს დედაშ.

ჩვენ ალალ-შართლებად ვკრძნობდით თავს და, გულამომ-ჯდარებმა, ტირილი დავიწკეთ.

— იცი რა, ტასო? — ვუთსარი ჩემს დას, როცა გული და-მიმშვიდდა; — შევალ სომ კვირბა და სკოლაში არ წავალთ, — მო-დი დაუკუარბუღდეთ და გავიკოთ, ვინ არის ჩვენი კვერცხების ქურდი!

— კარგი, დაუუარაუდღეთ! — მიზასუსხა სლუკსლუკით ტასომ და თან წინსაფარით თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა.

მეორე დღეს, ვისაუსმეთ თუ არა, შევედით მარანში და კუთხეში წილის ქილების უკან ჩავსხედით.

დიდი ხანი ვისხედით ჩუმად. სადილობამ მოატანა, მაგრამ მარანში არავინ შემოსულა.

— ვინ იცის, ახლა შინ კიდევაც სადილობენ! — წაფურხელე ჩემს დას: — მოდი წაუდგეთ და სადილის შემდეგ ისევ დაუუარაუდღეთ!

— არა: იქნება სადილის დროს შემოგვეპაროს ქურდი! თუ გინდა შენ წადი, მე კი აქ დავრჩები! — მიზასუსხა ტასომ.

არ მინდოდა ტასიკოს მარტოკა დატოვება და ამიტომ მეც გადავწყვიტე ბოლომდის დავრჩენილიყავ, თუნდა საღამომდის მომხდომოდა უარაულობა.

კუთხეში ჩუმად მობუსულებს ძილი მოგვეორია და მოქნარებს მოვევით.

ერთიც ვნასოთ, საიდანღაც გაჩნდა ვეებერთელა ვირთაგვა, შესტა ქვასე და იქიდან კვერცხების კასრში ბღღარმანია გაადინა.

ჩვენ შუენად გადავიქცით.

ვირთაგვა ისევ ძაღვ ამოტა და კოდს უკან შემვრა. ცოტა ხნის შემდეგ ათიოდე ვირთაგვა გამოვიდა. ერთი მათგანი კასრში ჩასტა, დანარჩენები ერთ წაშს ორ წეებად ისე აეუუდენ მიწიდან ქვასე და ქვიდან კასრსე, თითქოს დარი მიუუუდებიათო.

ცაღად დარჩენილმა ვირთაგვამ აირბინა ამსანაკების სურგებსე, მიკ მჯდომ ვირთაგვას კვერცხი გამოართვა და სრულიად უკნებლად ჩამოავორა დაბლა. ასე გაიმეორა რამდენჯერმე.

როცა საკმაო კვერცხი მოიმარაგეს, ვეულამ სათითოდ შეავორა კოდს უკან დიდი ოსტატობითა და სიფრთხილით.

ჩვენ გაოცებულები ვიყავით ამ სურათით და აწრდაც არ მოგვსკვლია საფარიდან გამოსვლა, რომ დაგვეფორთხო ჩვენი კვერცხის ქურდები.

როცა ჩამიხუმი მიწედა, მარნიდან გამოვედით და ნახული დედან ვუძებეთ. დედა მარანში წამოგვევა და კოდს უკან ჭრაქი შეანათა: კედლის ძირში ვვებერთელა სორო იყო ამოთხრილი და მთელი მხსილი ამ სორომდე კვერცხების კასრიდან ამოდებული ბზით იყო მოფენილი, რომ გაგორების დროს კვერცხები არ დამტვრეოდათ.

— ქა, ვერ სედავთ ამ ერთბეწვა ცხოველს, რამოტკლა გეგვა და მოხერხება ჭქონია!—სოქვა დედამ:—უნდა მამათქვენს საფანჯი ვაეიდვირო, თორემ სულ აიკლებენ აქაურობას!

მეორე დღეს მამამ ბაზრიდან საფანჯი მოიტანა და ვირთაგებს დაუგო, მაგრამ ახლოც არ გაეკარენ. დედამ კვერცხების კასრი სახლში შემოიტანა. სამაგიეროდ ვირთაგებს ახლა ფქვილის კოდი გამოელრუტნათ.

— თუ დარიშხანა არ ვაჭამე, აღანაფერს შეკვარხენენ წვეულები!—სოქვა მამამ.

აფთიაქში დარიშხანა არ მიეცათ: ეთქვათ, მისი ხმარება სასიფათოა, რადგან დარიშხანა ნაჭამმა თაგვმა შეიძლება სახოვაკე მოწამლოს და იქიდან თქვენც მოიწამლოთო.

დიღხანს ზარანამობდენ ვირთაგები ჩვენს მარანში, სახამ ბოლოს კარა არ გავიჩინეთ, რომელმაც მალე მთლად გააწყო მათი სახელი.

დ. ძეგამიძე.





შ რ ო მ ი ს ს უ რ ა თ ი

აძწვანდა სერი,
ცა მსიარულობს...
ნიავი დაჭქრის
ცელქსა მდინარეს,
გაცოცხლდა ველი,
ნელი ნიავი
ქოხორს უვარცხნის
გაფურქქულ არეს...
შხის სითბომ მიწას
მიუღღერსა,
ნორსა ყუვილებს
გაუთბო გული;
ტქე აძწვანა,
ვასი აულორტა,
ცას უთავაზა
სსიეთ თაიგული...
დილას, ცის კიდე
როს გაბრწეინდება,
და ფრინველები
მეჭკრავენ კამარს,

მინდარი ნამით
რომ აბრწეინება,
გვირილა ზირმეს
რა მისცემს საღამს,—
მიღამო შპვე
შრომის ოფლს ჰღერის...
აგერ ტრაქტორი
მინდარებს სერავს,
აქეთ თოხნანს,
შრომის ეიყინა
აძუძავეებს
თვით უქმად მცქერბლს.
ვევლგან ცეცხლი სდუღს;
მუშა სიამით
მიწას აწვიძებს
ოფლის მდინარეს,
დაკოყრებული
შრომის მარჯვენით
თავს დატრიალებს
გაფურქქულ არეს.

გ. ჩობიტაშვილი



ჩვენ უმცვლით მათ.

— ნელო, ბავშებო, ნელო, — ეუბნებოდა მასწავლებელი სოფიო ბავშებს, რომლებიც მისკენ გამოვრბოდნენ.

— ხომ წავალთ, დეიდა სოფიო? უყურეთ, რა მშვენიერი და თბილი გაზაფხულის დილაა.

— წავალთ, ბავშებო, წავალთ, მხოლოდ ცოტა მადროვეთ, რომ საჭირო ნივთები გამოვიტანო კლასიდან. სანამ მე დავბრუნდები, თქვენ დამწკრივით.

— ახლავე, მასწავლებელო, ახლავე.

რამდენიმე წამის შემდეგ ბავშები მზად იყვნენ.

— მოდის დეიდა სოფიო, მოდის, — ახმაურდნენ ბავშები.

— ბავშებო, საუზმე ხომ ყველას გაქვთ? თორემ მოგშივდებათ.

— ყველას, მასწავლებელო, ყველას!

— აბა, ახლა წავიდეთ, მხოლოდ, სანამ ქალაქს გავცილდებოდეთ, წყნარად იყავით, არ იხმაუროთ.

გასცილდნენ თუ არა ქალაქს, ბავშები ამწვანებულ მინდორზე გაიშალნენ.

მასწავლებელი სოფიო ველარ მიჰყვა ბავშებს, ქვაზე ჩამოჯდა და გაპყურებდა მათ. თვალწარმტაცი იყო ახლად ამწვა-

ნებული მინდორი, გაზაფხულის სხვადასხვა ყვავილებით შემოსილი.

ია ფერდობებში ისე იყო შეფენილი, თითქოს მრავალი ფერით მოქარგული ხალიჩა გაუშლიათო.

სტკებოდა სოფიო ამ სიმშვენიერით.

მალე დიდი თაიგულით ხელში გაჩნდა სოფიოსთან თინიკო.

— მე ვაჯობე ყველას, მასწავლებლო, მე! უყურეთ, რა დიდი თაიგულია! სულ სხვადასხვა ყვავილებია. ძირიანადაც ამოვიღე სკოლისთვის.

— ყოჩაღ, თინიკო, ყოჩაღ, მაგრამ ახლა კი დაისვენე, დაიღლებოდი.

მალე ყველა ბავშვებმა მოიყარეს თავი მასწავლებლის გარშემო. ყველას ბლომად მოეკრიფა ყვავილები.

— აბა, ბავშვებო, დასხედით, დავისვენოთ და თან გადავათვალიეროთ, რადარა ყვავილები შეგიგროვებიათ. აბა, გივი, შენი თაიგული ვნახოთ.— აგერ ენძელა, ია, ყოჩივარდა.

— მასწავლებლო, გვიამბეთ რამე, — სთხოვა თინიკომ.

— გვიამბეთ, გვიამბეთ, — ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

— სიამოვნებით, ბავშვებო, მე მაინც ვაპირებდი დღეს თქვენთვის შეამზნა ლენის დღის მნიშვნელობა. ბავშვები სმენად გადაიქცენ. სოფიომ ერთხანს შუბლი შეიკუმუნა, თითქოს არ ესიამოვნება ამ ამბის მოგონებამ, და დაიწყა:

— იქ, შორს, შორს საქართველოდან, რამდენიმე ათასი ვერსის დაშორებით, არის ცივი ტაიგა, რომელსაც ჩამოუღის მდინარე ლენა და ამ მდინარე ლენიდან 500 ვერსის დაშორებით ოქროს მადნის რაიონია ასეულ ვერსზე გადაკიმული. იქ აუარებელი მუშა მუშაობდა. ეს ოქროს მადნები მემამულეებს და ბურჟუებს ეკუთვნოდათ. ამათ ჰქონდათ მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაგდებული. პოლიცია და სასამართლო მათი დამხმარე იყო. უწინდელი მთავრობაც ხომ მდიდრებს ეშველებოდა. მადნების პატრონები მუშებს ძალიან სტანჯავდნენ, დილიდან საღამომდის ამუშავებდნენ ცივ, გაყინულ მაღაროებში, შიშველ ტიტვლებს და იმდენს არ აძლევდნენ, რომ მუშები პურით მაინც გამაძლარიყვნენ. მუშებმა ამნაირ მდგომარეობას ვეღარ გაუძლეს და მაღაროს პატრონებს თავისი არჩეული კაცები გაუგზავნეს. ისინი სთხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას და ხელფასის მომატებას.

მემალაროებმა ეს მოგზავნილი მუშები დააპატიმრეს. მუშებმა რომ ეს შეიტყვეს, ყველანი ერთად წავიდნენ სათხოვ-

ნელად, რომ მათი ამხანაგები გაეთავისუფლებიათ, მაგრამ მათ მემალაროებმა მისვლა არ დააცალეს, მიუსიეს ჯარი და აუარებელი მუშა დაჭრეს და დახოცეს.

ეს მოხდა 1912 წლის 17 აპრილს.

ამ ამბავმა ძალიან ააღელვა რუსეთის მუშები და აი აქედან დაიწყო მასიური გაფიცვები და აჯანყებები. ბევრჯერ ჩააქრეს მუშათა ამგვარი გამოსვლა, მაგრამ მუშა და გლეხი მაინც შედგრაღ მიდიოდა თავისი მიზნისაკენ, სანამ ოქტომბრის რევოლუციამ არ გადასწყვიტა მათი ბედი. აქ კი მშრომელმა ხალხმა გაიმარჯვა, სრული თავისუფლება მოიპოვა და ახლა თვითონ განაგებს თავის საქმეს.

ამიტომ, ბავშებო, ჩვენ ყოველწლივ 17 აპრილს ვიგონებთ ლენის ამბებს.

— ჩვენც, დეიდა სოფიო, ჩვენც არასდროს არ დავივიწყებთ ლენის მებრძოლ მუშებს.

მასწავლებელი წამოდგა, ბავშებიც წამოიშალენ.

— აბა, ბავშებო, ახლა აი იმ მაღალ გორაზე ავიდეთ, იქ სხვაგვარ ყვავილებს შევხვდებით.

— მასწავლებლო, ვიმღეროთ რამე!

— დაიწყე, თინიკო.

თინიკომ თავისი წკრიალა ხმით შესძახა: „ჩვენ შევცვლით მათ“, და ბავშები სიმღერით შეუდგენ მთას.

მანი.





გაზაფხულია, გაზაფხულია!

მე ზატარა ნაკადული ვარ. მივრბი-
ვარ, მივრბავრბაკებ, მივრხუხრუხუებ.

გამიძვი, თოვლო, რა გინდა, რომ აქა-იქ ჩამდულხნარ
წრდილებში და გამგვრებულხნარ ზემ გსახე.

სომ სედავ, მზე როგორ იცინის, სომ სედავ, თავსე
როგორი ალურსით მაფრქვევს მცხუნვარე სხივებს დილიდან
საღამომდის!

განა ვერ სედავ, რომ ამოიფოთქა მწვანე ბაღასი, ვერ
სედავ, ზი იქ, ფურღობსე, რამდენი ღურჯთუბლა ია და ვნ-
ძელა ამოსულა?

გასედე, ბაღში როგორ საბურად აუკავებულა ალურა და
ნუში! სედავ, ფრინველები რომ მოფრინავენ შორი ქვენიდან? ეს
იმისი ნიძანია, რომ გაზაფხულდა, დათბა. სომ გქსმით მათი
შიარული ჟრინბული და მასილი, სომ სედავ, როგორ იძლე-
ბა ხეებსე კოვრები და იმხუშნება მიწაში გამაღვიძებული
ჭიაღუა? ჩქარა ამრიალდება ამწვანებული ტყე!

გაზაფხულია, გაზაფხულია, თოვლო! ეველა და ეველაფერი
გაიღვიძებს და გამოცოცხლდება ზამთრის ძილისგან...

მაშ ჩამოძვალე გსიდან. მშვიდობით, ზამთრამდის!

6. ნაკაშიძე.

ყვავილები

ს.წ. ნა - ს.
მუს. ნიკ. შანაბიძისა.

canto

Alllegro

piano

allegro

გვი ნა წი ა, ვეუკვუთ ვე ღობით დე ღი ა დე ღი დე ღა

ყვა ვი ღუ ბი დე დე ღობია ღობით ვით დუქა დი ვით ვე ვე ღობ

rit.

rit.

პაწა მკერდს ქვეშ ნორჩი გული
ძგერს, იშლებს, ვით კუკურა,
ჩვენ ყუყუნა ყვავილი ვართ,
ბროლ ცვარ-ნამით დანაპკური.

ყველა გვეტრფის ილტაცებით,
ყველას ჩვენზე რჩება თვალი,
ჩვენთვის აწმყოც ღმობიერობს
და გვიღიმის მომავალი!

მაშ ვიცეკვით და ვიცეღქოთ,
აბა, ტაში, ტაში, ტაში!!
ჩვენს თვალებში იხატება
ვარსკვლავთ ბრწყინვა, მზის კაშკაში.



როგორ უნდა მო- ვაყუროთ ბოსტანი.

ჩვენ ვიცით, რომ ეოველ განაფხულსე ბავშები მინდერებ-
ზე და ბახხებში მიწის ზატარა ნაჭერსე ბოსტნის ვაკეთებანს
დაიწუებენ მცენარეთა და მათი ცხოვრების დასაკვირებლად.
რომ შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიბროს, შემდეგი ზირობები უნ-
და იქნეს შესრულებული: უბირველეს ეოვლისა, ისეთი ადგი-
ლი უნდა აირჩეს, რომ მას ირგვლივ მსე უდგებოდეს, რად-
გან ბოსტნისთვის დასრდილული ადგილი უვარგისია; წყალი
ახლოს უნდა ჩამოუდიოდეს; ბოსტანი აუცილებლად უნდა შე-
მოიღობოს. ამორჩეული საბოსტნე მიწა უნდა გაიწმინდოს და
ძირიან-ფესვიანად ამოიგლიჯოს ეოველგვარი ბაღხი. ამ გა-
წმენდის შემდეგ საბოსტნე ალაგი უნდა გადაბრუნდეს, ან ღრმად
დაიბაროს, შემდეგ უნდა ვაკუანოეერთო სასუქით, ე. ი. ამ და-
მუშავებულ მიწას ვადავაერთო სასუქი. საუკეთესო სასუქად
ითვლება: ცხენისა და სხვა ცხოველების ვახვადლი, ტორფი, ქათ-
მის ვახვადლი, ნაცარი, ხის ფოთლები. დამუშავების შემდეგ ბოს-
ტანი უნდა დავუერთ კვლებად ისე, რომ ერთი სივრძისა და ერთ-
თი სიგანისა იყოს. საერთოდ კვლის სიგანე ერთ მეტრს უნ-

და უდრიდეს, სიმაღლე კი დამოკიდებულია ადგილზე. ნოტიო ადგილში ძალადი კვლები უნდა გაკეთდეს, მშრალ ადგილებში დაბალი. ამის გარდა კვლის სიმაღლე დამოკიდებულია თვით მცენარეებსზედაც: კრძელმირიან მცენარეს ძალადი კვლები სჭირდება, ზოგიერთ მცენარეებს კი კვლები არც კი სჭირდებათ, მაგ. კომბოსტოს, ოქროვამლას („ზომიდორს“), ლობიოს, სიმინდს და სხვა. აგრეთვე ეოველ მცენარეს უნდა შეურჩიოთ ის ნიადაგი, რომელსედაც ის ხარობს. ნოტიო ალაგას ჩაურვოთ ისეთი მცენარე, რომელსაც სინესტე უყვარს და სძირად თხოულაბს შორწყვას, მაგ. კიტრი, სალათა, სტაფილო. ჩრდილოეთით რკავენ ძალად მცენარეებს და სამხრეთით კი დაბალ მცენარეებს: იმისთვის, რომ ძალადმა მცენარეებმა არ დახრდილან დაბალი მცენარეები. ამის გარდა საჭიროა მრავალფეროვნებისათვის დაირკვას მარცვლოვანი მცენარეულობა: შურია, ქერი, აგრეთვე სელი და კანაფი, შემდეგ სამკურნალო: ზიტნა, ლეცაოფა, ანისინა. ბოსტნის სიღამაზისთვის კარგია სხვადასხვა ჯიშის კვავილების დარგვა. ბოსტნის დათესვა ან სერვის ხარგვა უნდა მოხდეს საღამო ხანზე, როცა მზე ჩავა; დათესვის დროს მიწა სველი უნდა იყოს, ან თვის ან ხარგვის დროს უნდა რწყავდეთ. დათესის დროდ უნდა შეურჩიოთ უქარო საღამო. სქლად არ უნდა დაითესოს, ამხსთანავე უნდა ეცადოთ სწორ მკერვიად იყოს დათესილი. ამისათვის თესვის დროს კვლების გასწვრივ აბამენ ბაწარს და ისე აყოლებენ, თან ეოველ კვალში არკობენ ფიცარს წარწყურით, რა არის დათესილი და რა დროს.

ზოგიერთი მცენარისთვის დათესვამდე სამი დღის წინეთ ალბობენ. მაგ: კიტრის, კოგრის, ლობიოს, ნესვის, სასამთროს თესლს, რომელიც ელორტს არ გამოიღებს, ის თესლი უყარვისია. შემდეგ აურევენ სიღამი და ისე სთესენ და ფოცხით ვაასწორებენ. საიდანაც ჭქრის ცივი ქარი, იმ მხრით რკავენ ძალად მცენარეს, მაგ. სიმინდს: ეს ძალადი მცენარეები დაიფარავენ ბოსტნეულს

ცივი ქარისაგან, რაც ბოსტნისათვის ძალიან მავნებელია. თან ამ ძალიან მცენარეებს შემოეხვევიან ფრინველები, რომლებიც დაიფარვენ თქვენ ბოსტანს მავნე ჭიალუისგან. ფრინველები დიდი შტრები არიან ბოსტნის მავნებელი შვერების; ამიტომ შეგნებულნი შებაღე თავის ბოსტანში და ბაღში ეოველთვის ასასწლებს ფროთასან უარულებს ჰატარა სასწლებში, რომლებსაც ჰკიდებს ხეებს და უსწრუნველეოფს თავის ხეხილს და ბოსტანს მავნებლებისაგან. კარგი იქნება, რომ თქვენც დაუეენოთ ასეთი დამცველები თქვენს ბოსტანს.

მანი.



გ ა ვ შ ე ბ ი ს მ ა მ რ ა მ ა ჯ ე ბ ა

ს ა მ ჭ ე ლ ო უ ი

ბზინავს,
ბრწეინავს
ნაბერწკალი,
მალლა აღის
ცეცხლის აღი.
ფშინავს,
ქმინავს
საბერეული,
მას აქანებს

მუშის ხელი.
კმინავს,
დრტვინავს,
რკინა ცხელი,
სედ ჩაქუნს სცემს
მუშის ხელი,
და დამღერის ნადვლიანად
შრომის ერთგული მჭედელი,
მ. მამულაიშვილი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

ძორაკრაკებს შთის კალთიდან
 აქაფებით ცელქი წუარო,
 მას ბანს აძლევს მუდროებით
 მწვანით მოსილი საშუარო.

ხან ღრიბლით კლდესა ებრძვის,
 ხან, ვით კველი, ივლავნება,
 და გარშემო უვაკილო კუთხეს
 იაუნანას ეუბნება.

ხან ხუმად, ვით ღამის ქურდი,
 ბალახებში მისინინებს,
 და ხუმხუმად ის დუდუნით
 ამეტყველებს ირგვლივ ველებს.

ხან კი ღამით ბნელს წვედიადში
 შეღანირზე ძორაკრაკებს,
 და შივ მიდრუბლული მთუარე
 იხუტუტებს ცელქ ნაწნაუებს.

და სოკუერ კი, ქაფად ქმნილი,
 ირგვლივ აბნევს ბროლის მძივებს
 და ღრიბლით, ვითარც ვეფხვი,
 ესეთქება ქვა-კლდე ღრეებს.

მე-8-ე შრ. სკოლის მოწაფე: ვვგ. მუშუნაშვილი

ჩ ვ ე ნ ი ს ი მ ლ ე რ ა

ჩვენ მიუდევართ წინ, წინ შედგრად,
 რომ ვიზოვით ქვეყნის ბუდი,
 რომ ურჯულა წურბელებსა
 მოკუგრინოთ ვველას ქედი!

ჩვენ მივდივართ წინ, უშიძრად,
 რომ აუანთოთ წითლად აღი,
 რომ შთელ ქვეუნი ტანჯულებსა
 გავუკაფოთ მოძვადი!..

ჩვენ მივდივართ წინ, სულ წინ, რომ
 ვტყუარცნოთ დრომა ცას წითელად,
 რომ დავაძნოთ ჩვენი მტერი,
 ვიუოთ ნამდვილ ღენინკლად!..

რევან ვაბიჩაძე.

დ ი ლ ა

დილის ნიბუმა გაინისინა,
 ცაზე გამიხნდა ნაზი ცისკარი,
 ტოროლამ ცაში გაინავარდა,
 გამსიარულდა ველი, მთა-ბარი.
 ვარდმა კოკორმა თავი ასარა,
 მსის აქროს სხივი სედ მიისარა,
 წაძლად დასწკეთა გულზე მანანამ,
 აცისკროვნა და ვახარა.
 აკერ მწვემსებმაც გამოიღვიძეს,
 მთაზე კარეკეს დიდძალი ცხვარი,
 თითონ კი დასხდენ გორაკის თავზე
 და ააქდერეს ერთგული ქნარი.
 სუეველა ღსინობს და ეველა სარობს
 გასაფსულს დილის სიმშვენით,
 ბედნიერია ჩვენი ქვეუნი
 შრომის შვილებით და შრომის კერით.

ვ. დავლიანიძე.



გამოვიდა და იყიდება სახელგამის გამოცემაში.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის რედაქციით:

„ნორჩი ძალა“—კრებული	15	ქ.
„კოკროქინა“ დ. დოიდასი	10	„
„ბებია ბევეკა“	10	„
„ტყის სურათები“—შ. მღვიმელის	25	„
„ქიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	30	„
„თავისუფალ ბავშვათა სიმღერები“	20	„
„ქართული მოძრაი თამაშობანი“	80	„
„ივანე სულელი“—ლ. ტოლსტოის	15	„
„მოძრაი თამაშობანი“ გოგლიჩიძის	18	„
„უმჯეღესი დროის ბავშვის თავგადასავალი“	15	„
„როგორ იყვენ თავს ცხოველები მტრისაგან“—გ. ანთელიძის	25	„
„რას გვიამბობს ოთახი“	20	„
„ხელის სიმდიდრე“	20	„
„პატარა იაპონელები“—ფერადი ყდ.	75	„
„ჩემი უფროსი ძმები, ახალგ. კომკავშირელები“	10	„
„კომბლე“—სურათებიანი ხალხური ზღაპარი	65	„
„ლენინის საათი სკოლაში“	50	„
„ტაივის საუნჯე“	40	„
„პიონერი სოფლად“	20	„
„საბავშვო ბალი“	18	„
„მომღერლები“	15	„
„ნორჩი პიონერთა თანამგზავნი“	20	„
„ნორჩი პიონერები და ბავშვათა საერთაშორისო კვირეული“	20	„
„საბავშვო სახლის ცხოვრება“	70	„
„იყავე შვად“	5	„
„კომკავშირო, მოამზადე მესამე წებდა“	30	„
„ბავშვათა კომუნისტური მოძრაობა“	60	„
„საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის მოძრაი ამოცანები“	15	„
„წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი“	35	„

„თინიკოს ამოცანები“	45	„
„პატარა ჰოლანდიელები“—ლიუსი ფი-პერკინსის	80	„
„წითელკანიანები“—ხლენციკის	55	„
„ახალი ორთქლმავლის სიმღერა“	25	„
—სპრეგ მიტელის	25	„
„ჩემი პატარა წიგნი“—ი. გრიშაშვილის და სტაროსელის	50	„
„წითელი ვარსკვლავების მოგზაურობა საოცარ ქვეყანაში“	55	„
„მალალი მთის და პატარა ნაყადულების ამბავი	30	„
„გელა და ცეკიტა“—ნ. კეცოველის	45	„
„სიზმრად და ცხადად“	30	„
„მზე, მთეარე და ვარსკვლავები“	60	„
„ოქტომბრის დღეები“	18	„
„ჩემი ყვავილები“—შ. მღვიმელის	40	„
„ცელქები“—შ. მღვიმელის	30	„
„მერცხლები	50	„
„პურის მარცვლის თავგადასავალი“	40	„
„ი როგორ ვმუშაობთ“	18	„
„კოჭლი წიწილა“	25	„
„უცნაური ამბავი“—გ. პარკაძის	35	„
„ზარბა“—გუმბელის	18	„
„განახლებული დედამიწა“—ქარეუდის	1-20	„
„სიმღერები“—შავერზაშვილის	80	„
„საბავშვო ბალი“—ფერადი სურათები	1-20	„
„დალუქვის პირად“—სვენ გვიდინის	25	„
„პირველყოფილი ადამიანის ყოფაცხოვრება“—ლუნევიჩის	30	„
„საბავშვო ბალი“—წიგნი II, ფერადი სურათებით	1-20	„
„პირველი მისი“—პირველი მისის დღესასწაულის ჩასატარებელ მასალათა კრებული	1-	„
„აქენინიდან ანდამდე“	30	„
„როგორ ამოძრავდა პირველი მატარებელი“	12	„

იხილეთ და ჩაბარ გამოცემა:

- „სიმღერები“—ნ. შარაბიძე
- „ვინ არის ყველაზე ძლიერი“—ქანიშვილი და ძნელაძე.
- „ათეული“—ფერადი სურათებით.—მ. მიქელაძე-ბაგრატიონი.
- „ჩემი მეგობრები და ნაცნობები“.
- „მოთხრობები“—ი. ველოშვილი.

— 1927 წ. —

გ ა მ ო ვ ა

საქმეწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ წიგნი-
თვიური ქე-XXIII წ.

მოსრდილ. „პიონერი“ ორკვი-
რული II წ.

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	}	„ნაკადული“ — ერთი წლით—3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით—2 მ.
		„პიონერი“ — ერთი წლით—5 მ.
		ნახევარი წლით—3 მ.

ცალკე ნომერი	}	„ნაკადული“ — 35 კაბ.
		„პიონერი“ — 25 კაბ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი. „ნაკადული“ და „პიონერი“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

